ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

**2019 წლის 19 სექტემბრის სხდომის**

**ოქმი № 5**

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცება

   მომხს: თ. დოლბაია

2. ცვლილებები უცხოეთში გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენთა დაფინანსების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში

   მომხს: თ. დოლბაია

3. "დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება

   მომხს: რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების დანიშვნის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ. მან თქვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს უთავდება არჩევის 4 წლიანი ვადა და ფაკულტეტის საბჭომ უნდა განსაზღვროს არჩევნების თარიღი და ჩატარების წესი.

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ა. კუხიანიძემ, ს. დუნდუამ, ზ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩატარების წესი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების (დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის #135/ნ ბრძანებით) 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 3 დეკემბრის ოქმი №8 და 2019 წლის 29 ივლისის ოქმი #3 გადაწვეტილებებით) მე-14 მუხლის საფუძველზე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო ადგენს:

1. დაინიშნოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები **2019 წლის 30 სექტემბერს.**
2. არჩევნების ჩატარების ადგილი - თსუ VI კორპუსის დარბაზი (#303).
3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დაწყების დრო - **17:00 სთ.**
4. კენჭისყრის პერიოდი - **17:15- 18:30სთ.**
5. არჩევნების ჩატარების ფორმა - ფარული კენჭისყრა. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საბჭოს სხდომის კვორუმის შემთხვევაში დააგროვებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობას.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაცია შეუძლია ფაკულტეტის სრულ და ასოცირებულ პროფესორს.
7. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარმოდგენა:
   - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
   - ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
   - C V;
   - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების კონცეფცია;
   - პირადობის მოწმობის ასლი.

კანდიდატთა საბუთების მიღება - **23 სექტემბრიდან - 26 სექტემბრის ჩათვლით,** ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ VI კორპუსი, ოთახი#203ა), 10.00-17.00 სთ.

მოისმინეს: 2. უცხოეთში გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენთა დაფინანსების კომისიის განახლებული შემადგენლობა წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა.

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს უცხოეთში გამართულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენთა დაფინანსების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. ვალერიან მელიქიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
2. გიორგი გოგსაძე - პროფესორი;
3. ნინო ჭალაგანიძე - ასოცირებული პროფესორი;
4. სალომე დუნდუა - სამეცნიერო კვლევებისა და განვითრების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. თეა ვახანია - ფინანსური მენეჯერი;
6. მაკა გოგილაშვილი - კომისიის მდივანი, დეკანის თანაშემწე;
7. ელენე ბებერაშვილი - სტუდენტი, ფაკულტეტის თვითმმართველობის თავმჯდომარე;

მოისმინეს: 3. დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილების საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, ვ. მელიქიძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდეს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი თორნიკე თურმანიძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

19 სექტემბერი, 2019.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი